დამტკიცებულია

თსსუ-ის აკადემიური საბჭოს

2020 წლის 06 ივლისის N 24/17 დადგენილებით

წესი ანტიპლაგიატის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე წესი შემუშავებულია "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის #124/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების, თსსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 11 იანვრის 23/1 დადგენილებით დამტკიცებული შინაგანაწესის, თსსუ-ისწარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 1 მარტის # 23/1 დადგენილებით დამტკიცებული ეთიკის კოდექსის,თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 17 სექტემბრის #24/1 დადგენილებით დამტკიცებული„თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტის მიღწევების შეფასების წესის", თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 7 მაისის #24/5 დადგენილებით დამტკიცებული: თსსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის შესახებ დებულების, სტომატოლოგიის ფაკულტეტის დოქტორანტურის შესახებ დებულების, ფარმაციის ფაკულტეტის დოქტორანტურის შესახებ დებულების და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტების დოქტორანტურის შესახებ დებულების საფუძველზე და არეგულირებს პლაგიატისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის პრევენციას, გამოვლენასა და რეაგირებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

მუხლი 2. პლაგიატის ცნება და სახეები

1. პლაგიატი - ყველა ის ტექსტი (ფრაზა, იდეა, კვლევის მონაცემი), რომელიც გამოიყენება პირის მიერ საკუთარ ნაშრომში, ავტორის ან წყაროს მითითების გარეშე. პლაგიატია, როდესაც ხდება ინტელექტუალური შრომის შედეგების არამართლზომიერი გამოყენება და პუბლიკაციის ავტორობის მითვისება.

2. პლაგიატის სახეებია:

ა) პირდაპირი/გამიზნული პლაგიატი - წყაროდან სიტყვა-სიტყვით გადმოწერა ციტირების ან მითითების გარეშე;

ბ) თვითპლაგიატი - საკუთარი მოსაზრებების გამეორება მითითებების გარეშე;

გ) მოზაიკური პლაგიატი - სხვადასხვა წყაროდან გადმოტანილი ამონარიდების გაერთიანება ან პერეფრაზირება შესაბამისი ავტორების/წყაროების მითითების გარეშე;

დ) ერთობლივი (საერთო, ჯგუფური) კვლევების წარმოჩენა საკუთარ, ინდივიდუალურ კვლევად.

მუხლი 3. პლაგიატის თავიდან აცილების საშუალებები და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვა

1. პლაგიატის თავიდან ასაცილებლად და აკადემიური კეთილსინდისიერების დასაცავად უნივერსიტეტის პერსონალს ეკრძალება:

ა) ავტორის მითითების გარეშე სხვისი ინტელექტუალური შრომის შედეგის - ტექსტის, იდეის, კონცეფციის, ვიზუალური ან აუდიომასალის - ნებისმიერი სახის მონაცემების მითვისება და გავრცელება;
ბ) საწყისი წყაროს მითითების გარეშე საკუთარი ნაშრომის განმეორებით გამოყენება ანუ თვითციტირება;
გ) აკადემიურ ნაშრომში მონაცემების, ინფორმაციის ან ციტატების გაყალბება (ფალსიფიკაცია).
2. ავტორის იდეების პერიფრაზირების დროს პერიფრაზი ორიგინალისაგან უნდა განსხვავდებოდეს ენობრივად (სინტაქსურად), თუმცა ზედმიწევნით უნდა გადმოსცემდეს ორიგინალის აზრს.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების გარდა, სტუდენტთა მიღწევების შეფასებისას, მაგისტრისა და დოქტორის აკადემიური ხარისხების მოსაპოვებლად სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების, ასევე, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მიერ სამეცნიერო კვლევების შესრულებისა და წარმოდგენისას დაცული უნდა იქნეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნები.

4. აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის ვალდებულება, გარდა ავტორ(ებ)ისა, ეკისრება ნაშრომის ხელმძღვანელს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
5. თსსუ-ში ფუნქციობს პლაგიატის ამომცნობი პროგრამა - „Strikeplagiarism". აღნიშნული პროგრამა არის კომპანია Plagiat.pl-ის ინტელექტუალური საკუთრება.

მუხლი 4. პროგრამა - „Strikeplagiarism"-ის გამოყენების წესი

1. პროგრამის - „Strikeplagiarism" საშუალებით ხორციელდება თსსუ-ის ეგიდით შესრულებული კვლევითი, სასწავლო და სასწავლო-მეთოდური ნაშრომების შედარება როგორც შიდასაუნივერსიტეტო მონაცემთა ბაზასთან, ასევე, ინტერნეტ-რესურსებში არსებულ სხვა წყაროებთან და უზრუნველყოფს პირველწყაროს მითითების გარეშე არსებული მითვისებული მასალის აღმოჩენას.
2. პროგრამის გამოყენება შესაძლებელია ქართულ, ინგლისურ, რუსულ ენებზე.
3. პროგრამის სრულყოფილ და გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელია პროგრამის ადმინისტრატორი, რომელიც ამავდროულად არის საკონტაქტო პირი (შემდგომში - პროგრამის ადმინისტრატორი) თსსუ-ს და კომპანია Plagiat.pl-ს შორის.
4. პროგრამის ადმინისტრატორმა უნდა უზრუნველყოს:
ა) პროგრამის გამართული მუშაობა თსსუ-ში;
ბ) მისი ხელმოწერით დამოწმებული ნაშრომის მსგავსების ანგარიშის ოქმი წარდგენა თსსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.
5. პროგრამის ადმინისტრატორის დაქვემდებარებაში შედის პროგრამის ოპერატორი.
6. პროგრამის ოპერატორის ფუნქციებია:
ა) სტუდენტებისა და მეცნიერებისგან სამეცნიერო ნაშრომების ელექტრონული ვერსიების მიღება;
ბ) ნაშრომის შეყვანა პროგრამაში;
გ) პროგრამის ადმინისტრატორისათვის ნაშრომის მსგავსების ანგარიშის მიწოდება.

მუხლი 5. ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების ეტაპები

1. ნაშრომის ავტორმა ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების მიზნით ამ წესის დანართი N1-ით განსაზღვრული განცხადების ფორმით უნდა მიმართოს თსსუ-ის რექტორს.

2. თსსუ-ის სამეცნიერო გამოცემებში ნაშრომის პლაგიატზე შემოწმება უნდა დაინიცირდეს გამოცემის რედკოლეგიის მიერ პირველადი რეცენზირების შემდეგ.

3. თსსუ-ის შუამდგომლობით და მისი ეგიდით გამოქვეყნებული ნაშრომების შესაბამისი წარდგინების წინაპირობას წარმოადგენს მათი შემოწმება პროგრამით.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ განცხადებას თან უნდა ახლდეს ნაშრომის ელექტრონული ვერსია (Word-ის ფორმატში, Sylfaen- შრიფტით).

5. აღნიშნული მასალა გადაეცემა პროგრამის ადმინისტრატორს და შემდეგ - პროგრამის ოპერატორს.

6. პროგრამის ოპერატორი ახორციელებს ნაშრომის ატვირთვას პროგრამაში საიტზე Strikeplagiarism.com და აწარმოებს შემოწმებას.

7. ოპერატორი 5 სამუშაო დღის ვადაში უგზავნის პროგრამის ადმინისტრატორს პროგრამის საშუალებით მიღებულ შედეგს (მსგავსების ანგარიშს).

8. სამეცნიერო ნაშრომში გამოვლენილი მსგავსება დასაშვებია:

ა) სტუდენტის მიერ შესრულებული ნაშრომის შემთხვევაში:

ა.ა) მსგავსების კოეფიციენტი 1 არ უნდა აღემატებოდეს 40%-ს (5 სიტყვიანი წინადადება),

ა.ბ) მსგავსების კოეფიციენტი 2 არ უნდა აღემატებოდეს 10%-ს (25 სიტყვიანი წინადადება).

ბ) დოქტორანტის/აკადემიური პერსონალის/მეცნიერის/მოწვეული პერსონალის მიერ შესრულებული ნაშრომის შემთხვევაში:

ბ.ა) მსგავსების კოეფიციენტი 1 არ უნდა აღემატებოდეს 20%-ს (5 სიტყვიანი წინადადება)

ბ.ბ) მსგავსების კოეფიციენტი 2 არ უნდა აღემატებოდეს 5%-ს (25 სიტყვიანი წინადადება).

სახელმძღვანელოს შემთხვევაში:

9.1. მსგავსების კოეფიციენტი 1 არ უნდა აღემატებოდეს 25%-ს;

9.2. მსგავსების კოეფიციენტი 2 არ უნდა აღემატებოდეს 10%-ს.

10. პროგრამის ოპერატორი ნაშრომის მსგავსების ანგარიშს აგზავნის პროგრამის ადმინისტრატორთან.

11. ამ წესის დანართი N2-ით განსაზღვრული განცხადება, პროგრამის ადმინისტრატორის ხელმოწერით დამოწმებული ნაშრომის მსგავსების ანგარიშის ოქმი გადაეცემა თსსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

12. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გასცემს ცნობას პლაგიატის შესახებ.

მუხლი 6. პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევისა და პლაგიატის შემთხვევაში

1. ამ წესის მე-5 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ ნაშრომი/სახელმძღვანელო არ შეიცავს პლაგიატს, მაშინ იგი მიიღება/დაიშვება დაცვაზე/გამოსაქვეყნებლად.

2. პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში თსსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საკითხს განსახილველად გადასცემს აკადემიურ კომისიას, რომელიც ყოველი ცალკეული შემთხვევისას იქმნება რექტორის ბრძანებით და შედგება 3 მუდმივი და 2 დროებითი წევრისგან.

3. აკადემიური კომისიის მუდმივი წევრები არიან თსსუ-ის ვიცე-რექტორი მეცნიერების მიმართულებით, თსსუ-ის სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სამსახურის ხელმძღვანელი და თსსუ-ის იურისტი, ხოლო დროებითი წევრები შესაბამისი დარგის სპეციალისტები. აკადემიურ კომისიას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე.

4. აკადემიური კომისია, საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით, შეიმუშავებს საქმისწარმოების პროცედურას, ვადებს და საკითხის განხილვის შემდეგ გამოაქვს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთზე დაფუძნებული დასკვნა:

4.1 ნაშრომის **კორექტირება ხდება** თუ:

ა) ამ წესის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის „ა.ა" ქვეპუნქტის შემთხვევაში მსგავსების კოეფიციენტია **40-45%;**

ბ) ამ წესის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის „ბ.ა" ქვეპუნქტის შემთხვევაში მსგავსების კოეფიციენტია **20-30%;**

გ) ამ წესის მე-5 მუხლის 9.1 ქვეპუნქტის შემთხვევაში მსგავსების კოეფიციენტია **25-35%;**

დ) ამ წესის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის „ა.ბ" ქვეპუნქტის შემთხვევაში მსგავსების კოეფიციენტია **10-20%;**

ე) ამ წესის მე-5 მუხლის მე-8 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის „ბ.ბ" ქვეპუნქტის შემთხვევაში მსგავსების კოეფიციენტია **5-15%;**

ვ) ამ წესის მე- 5 მუხლის 9.2 ქვეპუნქტის შემთხვევაში მსგავსების კოეფიციენტია **10-20%.**

4.2 ამ მუხლის მე-4 პუნქტის 4.1 ქვეპუნქტის მიხედვით გათვალისწინებულ შემთხვევებში ავტორ(ებ)მა 14 სამუშაო დღის ვადაში უნდა მოახდინოს/მოახდინონ ნაშრომის კორექტირება და განმეორებითი წარმოდგენა ამ წესის მე-5 მუხლის პირველი მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

4.3 ნაშრომი არ დაიშვება დაცვაზე/არ გამოქვეყნდება, თუ სამეცნიერო ნაშრომში მსგავსების კოეფიციენტი სცილდება ამ მუხლის მე-4 პუნქტის 4.1 ქვეპუნტში გათვალისწინებული პროცენტული მაჩვენებლების ზედა ზღვარს.

5. აკადემიური კომისიის მუშაობა კონფიდენციალურია. პლაგიატის დადასტურებამდე მკვლევარის პრესტიჟს ზიანი არ უნდა მიადგეს.

6. აკადემიური კომისია ანგარიშვალდებულია თსსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის წინაშე. აკადემიური კომისიის დასკვნის (ამ წესის დანართი N3) შესახებ ეცნობება ნაშრომის ავტორს, ასევე, ნაშრომის ხელმძღვანელს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

7. ნაშრომის ავტორს შესაძლებლობა ეძლევა, საპასუხო სიტყვით წარსდგეს აკადემიური კომისიის წინაშე. იმ შემთხვევაში, თუ დარღვევის ფაქტი არ დადასტურდება, აკადემიური კომისია ვალდებულია გაატაროს ღონისძიებები პირის დარღვეული სამეცნიერო რეპუტაციის აღსადგენად.

დანართი N1

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორს

_____

ნაშრომის ავტორის/ავტორების სახელი, გვარი

_____

სამუშო ადგილი, თანამდებობა

_____

ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონი

განცხადება

გთხოვთ, დაავალოთ სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურს, შეამოწმოს ჩემს/ჩვენს მიერ მომზადებული ნაშრომი პლაგიატის არსებობაზე.

ვადასტურებ/ვადასტურებთ, რომ:

ნაშრომი _____

_____

(ნაშრომის დასახელება)

მომზადებულია ჩემს/ჩვენს მიერ და იგი არ არღვევს მესამე პირთა საავტორო უფლებებს.

_____ _____

თარიღი ხელმოწერა

დანართი N2

ნაშრომის მსგავსების ანგარიშის ოქმი

ავტორი/ავტორები: _____

ნაშრომის დასახელება: _____

_____

დარგი/სპეციალობა _____

სამეცნიერო ხელმძღვანელი (დისერტაციის შემთხვევაში) _____

ფაკულტეტი _____

სამეცნიერო ნაშრომის ტიპი:

- ☐ სადისერტაციო ნაშრომი;
- ☐ სტატია;
- ☐ სახელმძღვანელო;
- ☐ სხვა

მსგავსების ანგარიშმა აჩვენა შემდეგი:

---	---
თარიღი	პროგრამის ადმინისტრატორის ხელმოწერა

დანართი N3

აკადემიური კომისიის დასკვნა ნაშრომის შესახებ

ავტორი/ავტორები: ----------

ნაშრომის დასახელება:----------

დარგი/სპეციალობა ----------

მსგავსების ანგარიშის შემოწმების შემდეგ გაკეთდა დასკვნა:

- ☐ ნაშრომში გამოვლენილი მსგავსება დასაშვებია. ამრიგად, ნაშრომი მიიღება/დაიშვება დაცვაზე/გამოსაქვეყნებლად.
- ☐ ნაშრომში გამოვლენილი მსგავსების კოეფიციენტი არ აღემატება დასაშვებ ნორმას. თუმცა, საჭიროა ნაშრომის კორექტირება.
- ☐ სამეცნიერო ნაშრომი შეიცავს პლაგიატს, რომელიც შესაბამისობაშია მე-5 მუხლის მე-6-ე ქვეპუნქტის ზღვრულ ნორმებთან. ამრიგად, ნაშრომი არ დაიშვება დაცვაზე/არ გამოქვეყნდება.

ხელმოწერები:
აკადემიური კომისიის ხელმძღვანელი:

წევრები:

1.

2.

3.

4.